ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 85
CPV: **33100000** - სამედიცინო მოწყობილობები

ქ. თბილისი 08 სექტემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ სსიპ–სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლის დირექტორი დალი რაზმაძის სახით (შემდგომში – შემსყიდველი), ხოლო მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. „ჯეო გრუპ"-ის მინდობილი პირი კასიმ ოზიუქსელის** (მინდობილობის სანოტარო აქტის რეგისტრაციის N140924322) სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია: სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-სთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით სკოლისთვის საჭირო სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვა დანართი №1-ში გათვალისწინებული ტექნიკური პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ღირებულება მოცემულია დანართ N 1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა **3 393 (სამი ათას სამასოთხმოცდაცამეტი) ლარი** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და ყველა გადასახადის მათ შორის დღგს ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს. ამასთან ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში მიწოდებულ საქონელზე ვრცელდება 14 კალენდარული თვე.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.3. საქონლის დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების და/ან სათანადო ინვოისის წარმოდგენა საქონლის დასახელებისა და ფასის მითითებით.

4.4. საქონლის მიწოდების ადგილია: დანართი №2-ში მითითებული საგანმანათლებლო რესურსცენტრები, ხოლო მიწოდების თარიღი - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება - ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე (ინსპექტირებაზე) და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია შესაბამისი საჯარო სკოლის უფლებამოსილი პირი.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი ინვოისი, სადაც განსაზღვრული იქნება მიმღები წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება მოხდება საქონლის მიწოდებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1.შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ამ მუხლში.

8.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის **10%-ის** ოდენობით ან

ბ) განუსაზღვროს საქონლის მოწოდებისთვის დამატებითი ვადა არაუმეტეს **10 (ათი)** დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების **0.5%-ის** ოდენობით.

8.4. თუ კი მიმწოდებელი 8.3. „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს საქონლის მიწოდებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება შეუსრულებელი ვალდებულების **10%-ის** ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით, ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ·ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული უფლებამოსილი პირი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ოთხი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ_სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლა, მის: ქ.ონი მინდელის ქ.N 1, ს/ნ 237976981, საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ონის ფილიალი, ა/ა: GE52LB01201531196055000

დირექტორი: დალი რაზმაძე

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
შპს ,,ჯეო გრუპ'' მისამართი: ქ. თბილისი ქართველიშვილის ქუჩა N7, ს/კ 406026982; ს.ს. თი ბი სი'' ბანკი; კოდი: ა/ა:GE33TB1138236020100009; ტელ: 555507967

უფლებამოსილი წარმომადგენელი:

კასიმ ოზიუქსელი

(ხელმოწერა)